

ეკონომიკური აგენტის მხარდაჭერის პროგრამა

განმახორციელებელი: სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო და ორგანიზაცია „Action Against Hunger“

სარჩევი

შესავალი.....	3
1. პროგრამის მიზანი.....	4
2. პროგრამის შედეგი.....	4
3. პროგრამის აღწერა.....	4
3.1. ბიზნეს გეგმის წარმოდგენა.....	5
3.1.1. ბიზნეს გეგმის შემოწმება და განხილვა.....	6
3.1.2. ბიზნეს გეგმის შეფასება.....	8
3.2. ტრენინგი ეკონომიკური აგენტებისთვის.....	14
3.3. სამოქმედო გეგმა.....	14
3.4. პროგრამის გავრცელების არეალი.....	15
3.5. პროგრამის ხანგრძლივობა.....	15
4. პროგრამის ბიუჯეტი.....	15
5. პროგრამის შეფასება და მონიტორინგი.....	15

შესავალი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირები - დევნილები (შემდგომში - დევნილი) და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახები (შემდგომში - ეკომიგრანტი) მოსახლეობის ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ფენას წარმოადგენენ, რომლებიც სახელმწიფოსგან განსაკუთრებულ მიდგომასა და მხარდაჭერას საჭიროებენ.

დევნილთა და ეკომიგრანტთა ეკონომიკური საქმიანობის მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო (შემდგომში - სააგენტო) და საერთაშორისო ორგანიზაცია „Action Against Hunger” გამოყოფენ ფინანსურ რესურსებს და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 22 ივნისის N1046 განკარგულებით დამტკიცებული „იძულებით გადაადგილებულ პირთათვის – დევნილთათვის და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული (ეკომიგრანტი) ოჯახებისათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის“ შესაბამისად, ახორციელებენ წინამდებარე პროგრამას. ორგანიზაცია „Action Against Hunger” წარმოადგენს გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამინისტროს (BMZ) მიერ დაფინანსებული პროექტის „მოწყვლადი იძულებით გადაადგილებული პირებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური ჩართულობის ხელშეწყობა სამხრეთ კავკასიაში“(EPIC), Deutsche Gesellschaft für internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH-ერთად განმახორციელებელ საერთაშორისო ორგანიზაციას.

წინამდებარე პროგრამა განკუთვნილია დევნილებისა და იმ ეკომიგრანტი ოჯახის წევრებისთვის, რომლებზედაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის N779 ბრძანების შესაბამისად, გამოცემულია საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების შესახებ ბრძანება (შემდგომში - ეკომიგრანტი).

1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია, დევნილთა და ეკომიგრანტთა სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობა, მათი სოციალური და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ადგილობრივი მოსახლეობის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა.

2. პროგრამის შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად, მხარდაჭერილი იქნება 20 ეკონომიკური აგენტი, რომლებიც თავის მხრივ, დაასაქმებენ მინიმუმ 20 პირს.

3. პროგრამის აღწერა

პროგრამის განხორციელების შედეგად, მხარდაჭერილი იქნება დევნილებისა და ეკომიგრანტების მიერ სამიზნე რეგიონებში მართული სამეწარმეო საქმიანობა, რათა გაიზარდოს მათი საწარმოების ბრუნვა და შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები. პროგრამის ფარგლებში, ეკონომიკური აგენტი მიიღებს მხარდაჭერას სამეწარმეო საქმიანობის გასაუმჯობესებლად. ამ მიზნით, შექმნილი იქნება ეკონომიკური აგენტის მოთხოვნის შესაბამისად, საჭირო საოპერაციო აქტივი (ძირითადი საშუალება), შესაბამისი მომსახურებით არანაკლებ 4 000 ლარისა და არაუმეტეს 7 500 ლარის ფარგლებში. ამასთანავე, თითო ნივთის ღირებულება არ უნდა იყოს 300 ლარზე ნაკლები. გამონაკლისია, შემთხვევა, როდესაც, ეკონომიკური აგენტს საქმიანობიდან გამომდინარე ესაჭიროება ერთიდაიმავე ნივთის ერთზე მეტი ოდენობით შექმნა. ასეთ, შემთხვევაში, ნივთების ღირებულება აითვლება ჯამურად.

ეკონომიკურმა აგენტმა მხარდაჭერის მიღების შემდეგ, უნდა დაასაქმოს მინიმუმ 1 პირი. სასურველია, დასაქმებული იყოს დევნილი ან/და ეკომიგრანტი ან/და ადგილობრივი მოწყვლადი მოსახლე.

პროგრამის სამიზნე არეალია: იმერეთისა და ქვემო ქართლის რეგიონში მდებარე შემდეგი მუნიციპალიტეტები: მარნეული, თეთრიწყარო, ვანი, ზესტაფონი, საჩხერე, ტყიბული, წყალტუბო, ჭიათურა, ხარაგაული და ამ მუნიციპალიტეტებში შემავალი სოფლები.

პროგრამის ფარგლებში, დასაშვებია მხოლოდ საოპერაციო აქტივის (ძირითადი საშუალების) შექმნა. ამასთან, ნივთის სპეციფიკიდან გამომდინარე, ცალკეულ შემთხვევებში დაშვებულია შექმნა თანმდევი მომსახურებით (ტრანსპორტირება და მონტაჟი). შესაძენად მოთხოვნილი

ძირითადი საშუალება და თანმდევი მომსახურების ღირებულება უნდა შეესაბამებოდეს პროგრამით დადგენილ ზღვრებს. ასევე, შესაძენად მოთხოვნილი ნივთი ხელმისაწვდომი უნდა იყოს საქართველოს მასშტაბით და უნდა იყოს ახალი. დაუშვებელია, მეორადი ნივთების შექმნა.

პროგრამის ფარგლებში, არ ფინანსდება:

1. მუშახელის ანაზღაურება;
2. უძრავი ქონების, ერთჯერადი მოხმარების ნივთებისა და მათზე გაწეული ხარჯების შექმნა (მაგ., პროდუქცია, რომელიც უნდა გაიყიდოს საწარმოში, პროდუქცია, რომელიც საჭიროა საბოლოო პროდუქტის მისაღებად, ნერგი, თესლი და ა.შ.);
3. მეორადი ნივთების შექმნა;
4. მშენებლობა, რემონტი, რეკონსტრუქცია;
5. ალკოჰოლის, თამბაქოს, აზარტული თამაშების წახალისებასთან დაკავშირებული საქმიანობა;
6. ნებისმიერი სხვა ქონების/მომსახურების შექმნა, რომელიც არ შეესაბამება ეკონომიკური აგენტის საქმიანობას და პროგრამის მიზანს;
7. 2018 წლის „მეწარმე სუბიექტთა მხარდაჭერის პროგრამის“ გამარჯვებული ეკონომიკური აგენტის მიერ წარმოდგენილი ბიზნეს გეგმა.

პროგრამის ფარგლებში, მხარდაჭერას სააგენტო ახორციელებს სუბსიდირების გზით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.

პროგრამა ხორციელდება „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ეკონომიკური აგენტის მიმართ, რომელიც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით მიიჩნევა მეწარმე სუბიექტად (ინდ. მეწარმე, შპს, სპს, კს, სს, კორპორაცია, კოოპერატივი) და ფიზიკური პირის მიმართ, რომელსაც „საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ შესაბამისად, აქვს მიკრო ბიზნესის სტატუსი. ამასთანავე, ფიზიკური პირი ეკონომიკური აგენტი უნდა იყოს დევნილი ან ეკომიგრანტი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში - დევნილი ან/და ეკომიგრანტი პარტნიორი ინდივიდუალურად ან ჯამში ასეთი პარტნიორები უნდა ფლობდნენ არანაკლებ 51 პროცენტს წილს/აქციას.

3.1. ბიზნეს გეგმის წარმოდგენა

პროგრამაში მონაწილეობისათვის, დაინტერესებულმა ეკონომიკურმა აგენტმა უნდა შეავსოს პროგრამის ფარგლებში შემუშავებული ბიზნეს გეგმა (**დანართი N1**) და დადგენილ ვადაში, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგინოს სააგენტოში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. N15ა ან შევსებული და დასკანერებული სახით გამოგზავნოს სააგენტოს ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე: infoidp@moh.gov.ge.

სრულყოფილად შევსებული ბიზნეს გეგმისა და თანმდევი დოკუმენტაციის ჩაბარება ასევე, შესაძლებელია სააგენტოს ტერიტორიულ სამმართველოებში შემდეგ მისამართებზე:

1. ქ. რუსთავი, ცურტაველის ქ. N5ა
2. ქ. ქუთაისი, ირ. აბაშიძის გამზ. N27

ბიზნეს გეგმას თან უნდა ერთოდეს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. ეკონომიკური აგენტი იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმის შემთხვევაში - მიღების ვადაში განახლებული ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, ხოლო მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის შემთხვევაში - მიღების ვადაში აღებული რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან;
2. ცნობა სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან დავალიანების არ არსებობის შესახებ;
3. ცნობა სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროდან - ეკონომიკური აგენტის მოვალეთა რეესტრში არყოფნის შესახებ;
4. ეკონომიკური აგენტი ფიზიკური პირის ან ეკონომიკური აგენტი იურიდიული პირის პარტნიორი დევნილის/ეკომიგრანტის პირადობის/პასპორტის ასლი;
5. საწარმოს რამდენიმე პარტნიორის შემთხვევაში, ყველა მათგანის ნოტარიულად დამტკიცებული თანხმობა პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე;
6. ბიზნეს გეგმების მიღების ვადაში გაცემული ერთი ინვოისი ყველა იმ ნივთ(ებ)ზე, რომლის შექმნაც მოთხოვნილია.

ბიზნეს გეგმა წარმოდგენილი უნდა იქნეს ეკონომიკური აგენტის უფლებამოსილი პირის მიერ. ამავე დროს, უფლებამოსილი პირი უნდა იყოს დევნილი ან ეკომიგრანტი.

შენიშვნა: ცალკეული ბიზნეს გეგმის სპეციფიკიდან გამომდინარე, ნებისმიერ ეტაპზე, შესაძლებელია მოხდეს დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენის მოთხოვნა. მათ შორის, ბიზნეს გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო ნებართვის/ლიცენზიის და ა.შ. არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ასევე, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ეკონომიკურ აგენტებს მოეთხოვებათ წარმოადგინონ სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული დოკუმენტი საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

ეკონომიკურ აგენტს შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ ერთი ბიზნეს გეგმა.

3.1.1. ბიზნეს გეგმის შემოწმება და განხილვა

წარმოდგენილ ბიზნეს გეგმებს ამოწმებს სააგენტოს საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) და განიხილავს პროგრამის ფარგლებში,

სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი კომისია.

დეპარტამენტი უზრუნველყოფს წარმოდგენილი ბიზნეს გეგმების შემოწმებას, რამდენად სრულყოფილად არის შევსებული და წარმოდგენილი ყველა საჭირო დოკუმენტაცია.

დეპარტამენტი უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, შემოწმების ეტაპზე, განმცხადებელს განუსაზღვროს ვადა არაუმეტეს 10 კალენდარული დღის ოდენობით და მოსთხოვოს მას ბიზნეს გეგმაში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის გამოსწორება, სავალდებულოდ წარმოსადგენი ან დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა ან/და ინფორმაციის დაზუსტება. ამავდროულად, მოთხოვნილი დოკუმენტაცია პირდაპირ უნდა იყოს დაკავშირებული პროგრამის მიზნების განხორციელებასთან. განმცხადებელს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია, რა მიზნით ითხოვს დეპარტამენტი დოკუმენტაციის წარდგენას. აღნიშნულის თაობაზე, სააგენტოსა და განმცხადებელს შორის კომუნიკაცია შესაძლებელია როგორც წერილობითი, ისე სატელეფონო და ელექტრონული შეტყობინებით.

ხარვეზის გამოსასწორებლად, დამატებითი დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოდგენისათვის განსაზღვრული დამატებითი ვადის გასვლის შემდეგ, ბიზნეს გეგმები განსახილველად გადაეცემა პროგრამის ფარგლებში შექმნილ კომისიას, რომელიც პირველ რიგში ადგენს ბიზნეს გეგმის შესაბამისობას საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. ბიზნეს გეგმები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს განუხილველად იქნება დატოვებული. ხოლო ბიზნეს გეგმები, რომლებიც დააკმაყოფილებენ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს შეფასებული იქნება პროგრამის შეფასების კრიტერიუმებით. შეფასებამდე, სააგენტოსა და ორგანიზაციის Action Against Hunger მიერ განხორციელდება იმ ეკონომიკური აგენტების მონიტორინგი, რომლებმაც დააკმაყოფილეს პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. მონიტორინგის ფორმა თანდართულია პროგრამის **N2 დანართად**.

პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

1. ბიზნეს გეგმა წარმოდგენილია უფლებამოსილი დევნილი ან ეკომიგრანტი პირის მიერ, დადგენილ ვადაში, ხელმოწერილია, შევსებულია სრულყოფილად და თანდართულია წარმოსადგენი დოკუმენტაცია, მათ შორის, წარმოდგენილია დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია;
2. ბიზნეს გეგმა წარმოდგენილია ეკონომიკური აგენტის მიერ: დევნილი ან ეკომიგრანტი, რომელსაც „საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ შესაბამისად, აქვს მიკრო ბიზნესის სტატუსი; დევნილი ან ეკომიგრანტი ინდივიდუალური მეწარმე (შესაძლო ჰქონდეს მცირე ბიზნესის სტატუსი); „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სხვა მეწარმე სუბიექტები, რომელთა პარტნიორია დევნილი ან/და ეკომიგრანტი, რომელიც ინდივიდუალურად ან ჯამში ასეთი პარტნიორები ფლობენ არანაკლებ 51 პროცენტს წილს/აქციას.

3. ბიზნეს გეგმა უნდა ითვალისწინებდეს პროგრამის სამიზნე რეგიონში მომუშავე ეკონომიკური აგენტის საქმიანობის გაუმჯობესებას და დასაქმების შესაძლებლობების ზრდას;
4. ეკონომიკური აგენტი რეგისტრირებული უნდა იყოს 2020 წლის 1 მაისამდე; მიკრო ბიზნესის სტატუსი ფიზიკურ პირს მიღებული უნდა ჰქონდეს 2020 წლის 1 მაისამდე; იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური აგენტი იურიდიული პირია მისი პარტნიორი დევენილი/ეკომიგრანტი პარტნიორად რეგისტრირებული უნდა იყოს 2020 წლის 1 მაისამდე;
5. ეკონომიკური აგენტი არ უნდა იყოს აღრიცხული მოვალეთა რეესტრში და არ უნდა ჰქონდეს საგადასახადო დავალიანება;
6. ბიზნეს გეგმით შესაძენად მოთხოვნილი ნივთ(ებ)ის (თუ შეძენა ხორციელდება თანმდევი მომსახურებით, მის ჩათვლით) ჯამური ღირებულება უნდა იყოს არანაკლებ 4 000 ლარისა და არაუმეტეს 7 500 ლარის ოდენობის. ამასთანავე, თითო ნივთის ღირებულება არ უნდა იყოს 300 ლარზე ნაკლები. გამონაკლისია, შემთხვევა, როდესაც, ეკონომიკურ აგენტს საქმიანობიდან გამომდინარე ესაჭიროება ერთიდაიმავე ნივთის ერთზე მეტი ოდენობით შეძენა. ასეთ შემთხვევაში, ნივთების ღირებულება აითვლება ჯამურად;
7. ეკონომიკური აგენტი არ უნდა იყოს 2018 წლის „მეწარმე სუბიექტთა მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მხარდაჭერილი ბენეფიციარი;
8. ბიზნეს გეგმა არ ითვალისწინებს ისეთი საქმიანობის მხარდაჭერას, რომელიც პროგრამის ფარგლებში არ ფინანსდება.

3.1.2. ბიზნეს გეგმის შეფასება

ეკონომიკური აგენტების მონიტორინგის განხორციელების შემდეგ, კომისია იწყებს ბიზნეს გეგმების შეფასებას. შეფასების ეტაპზე, კომისიის სხდომაში მონაწილეობას იღებს განმცხადებელიც, რომელიც კომისიას წარუდგენს საკუთარ ინიციატივას და ასაბუთებს შესაძენად მოთხოვნილი ძირითადი საშუალების საჭიროებას. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, დეპარტამენტი განმცხადებელს იწვევს კომისიის სხდომაზე. განმცხადებლის სხდომაზე გამოუცხადებლობის ან განმცხადებლის მიერ გასაუბრებაზე უარის თქმის შემთხვევაში, კომისია ბიზნეს გეგმას აფასებს მხოლოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.

კომისია აფასებს ბიზნეს გეგმებს ბიზნეს გეგმის, მონიტორინგის ანგარიშებისა და განმცხადებლის მიერ კომისიის სხდომაზე მოწოდებული ინფორმაციის გათვალისწინებით, პროგრამის შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე.

გამარჯვებულად გამოვლინდება ყველაზე მაღალი ქულის მქონე ეკონომიკური აგენტები. გადაწყვეტილების მიღების დროს, მხედველობაში იქნება მიღებული ბიზნეს გეგმების

მხარდაჭერისთვის არსებული ფინანსური რესურსი. ქულათა დადგენა ხორციელდება კომისიის თითოეული წევრის მიერ შეფასების ფორმაში მითითებული ქულებიდან საშუალო არითმეტიკული ქულის გამოვლენის გზით. ქულათა მაქსიმალური რაოდენობაა 54.

შეფასების კრიტერიუმებია:

N	კრიტერიუმი	მითითება	მაქსიმალური ქულა	ქულათა დიაპაზონი	ქულათა განმარტება
1	ბიზნეს გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური და არამატერიალური რესურსები	უნდა შეფასდეს, აქვს თუ არა განმცხადებელს ბიზნეს გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის წარმართვის გამოცდილება, საჭირო ცოდნა/უნარი და მატერიალური რესურსი	6	0	განმცხადებელს არ აქვს საქმიანობის წარმართვისთვის საჭირო ცოდნა/უნარი, გამოცდილება და მატერიალური რესურსი
				1-3	განმცხადებელს აქვს ზოგიერთი უნარი, მცირე გამოცდილება/ცოდნა და მცირე მატერიალური რესურსი საქმიანობის წარმართვისთვის
				4-6	განმცხადებელს აქვს მატერიალური და არამატერიალური რესურსი საქმიანობის წარმართვისათვის
2	შესაძენად მოთხოვნილი ძირითადი საშუალებების საჭიროება	უნდა შეფასდეს, რამდენად სწორად არის განსაზღვრული (ან რამდენად დასაბუთებულია) ბიზნეს გეგმით საჭიროება და რამდენად შეესაბამება მოთხოვნილი მხარდაჭერა ამ საჭიროების გადაწყვეტას	6	0	არ დგას მოთხოვნილი ძირითადი საშუალებების საჭიროება
				1-3	სახეზეა მოთხოვნილი ძირითადი საშუალებების საჭიროება, თუმცა, დაბალია მოთხოვნილი მხარდაჭერით საჭიროების გადაწყვეტის შესაძლებლობა
				4-6	სახეზეა მოთხოვნილი ძირითადი საშუალებების საჭიროება და მაღალია მოთხოვნილი მხარდაჭერით საჭიროების გადაჭრის შესაძლებლობა.

	<p>შემოთავაზებული პროდუქციის/მომსახურების სახე</p>	<p>შეფასებული უნდა იქნეს, რამდენად ნათლად აქვს წარმოდგენილი განმცხადებელს დაგეგმილი პროდუქტი/მომსახურება, რომლის წარმოებასაც აპირებს, რამდენად ნათლად აქვს გაწერილი წარმოების ციკლი და წარმოებისათვის საჭირო ტექნოლოგიები/მეთოდები. რამდენად ინოვაციურია მიდგომა და დაგეგმილი პროდუქტი/მომსახურება. რამდენად ადეკვატურია ბენეფიციარის მოლოდინი წარმოების დივერსიფიკაცია/გაფართოებასთან დაკავშირებით.</p>	<p>3</p>	<p>6</p>	<p>განმცხადებელს ნათლად არ აქვს წარმოდგენილი დაგეგმილი მომსახურება/პროდუქცია.</p> <p>ასევე, არ არის ნათლად გაწერილი მომსახურების/პროდუქციის წარმოების ციკლი და წარმოებისთვის საჭირო ტექნოლოგიები/მეთოდები.</p> <p>ბიზნეს გეგმა არ ითვალისწინებს რაიმე ახალ და/ან ინოვაციურ საქმიანობას.</p> <p>ბენეფიციარის მოლოდინი წარმოებასთან დაკავშირებით არარეალურია.</p>
<p>განმცხადებელს მეტნაკლებად აქვს წარმოდგენილი დაგეგმილი მომსახურება/პროდუქცია.</p> <p>მეტ-ნაკლები რეალურობით გაწერილია მომსახურების/პროდუქციის წარმოების ციკლი და წარმოებისთვის საჭირო ტექნოლოგიები/მეთოდები.</p> <p>გასათვალისწინებელია, საქმიანობა თუ წარმოდგენს ახალს/ინოვაციურს.</p> <p>ბენეფიციარის მოლოდინი წარმოებასთან დაკავშირებით მეტნაკლებად რეალურია.</p>					
<p>განმცხადებელს ნათლად აქვს წარმოდგენილი დაგეგმილი მომსახურება/პროდუქცია.</p> <p>რეალურობით გაწერილია მომსახურების/პროდუქციის წარმოების ციკლი და წარმოებისთვის საჭირო ტექნოლოგიები/მეთოდები.</p> <p>გასათვალისწინებელია, საქმიანობა თუ წარმოდგენს ახალს/ინოვაციურს.</p>					

					ბენეფიციარის მოლოდინი წარმოებასთან დაკავშირებით რეალურია.
4	სამიზნე ბაზარი/ სავარაუდო მომხმარებელი/ გაყიდვების გეგმა/კონკურენცია	შეფასებული უნდა იქნეს, რამდენად აქვს შესწავლილი განმცხადებელს სამიზნე ბაზარი და სავარაუდო მომხმარებელი. რამდენად არის ჩამოყალიბებული გაყიდვების გეგმა და შესწავლილი კონკურენტული გარემო.	6	0	არ არის შესწავლილი სამიზნე ბაზარი, სავარაუდო მომხმარებელი და კონკურენტული გარემო. ასევე, რეალურობით არ არის ჩამოყალიბებული გაყიდვების გეგმა.
				1-3	განმცხადებელს მეტნაკლებად შესწავლილი აქვს სამიზნე ბაზარი, სავარაუდო მომხმარებელი და კონკურენტები. მეტნაკლებად ნათლად არის ჩამოყალიბებული გაყიდვების გეგმა.
				4-6	განმცხადებელს ნათლად აქვს შესწავლილი სამიზნე ბაზარი, სავარაუდო მომხმარებელი და კონკურენტები. ნათლად არის ჩამოყალიბებული გაყიდვების გეგმა.
5	რისკები	შეფასებული უნდა იქნეს, რამდენად სრულად აქვს განმცხადებელს შესწავლილი საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები და რამდენად აქვს შემუშავებული ამ რისკების რეალური შემცირების სტრატეგია.	6	0	განმცხადებელს არ აქვს გააზრებული შესაძლო რისკები. შესაბამისად, არ აქვს ნაფიქრი მათ შემსუბუქებას ან/და თავიდან აცილებაზე.
				1-3	განმცხადებელს გააზრებული აქვს შესაძლო რისკები, თუმცა არ აქვს ნაფიქრი, როგორ მოახდინოს მათი შემსუბუქება ან/და თავიდან აცილება.
				4-6	განმცხადებელს გააზრებული აქვს შესაძლო რისკები; იცის, როგორ მოახდინოს რისკების შემსუბუქება ან/და თავიდან აცილება.
6	ბიზნესის განვითარების გეგმა	შეფასებული უნდა იქნეს, არის თუ არა ბიზნესის განვითარების გეგმა ნათელი, ბიზნესი სიცოცხლისუნარიან	6	0	შემოთავაზებული საქმიანობის მდგრადობას სერიოზული საფრთხე ემუქრება

		ი, არის თუ არა ზრდის/გაფართოების გეგმა მოცემული და რეალური.		1-3	ბიზნესი მეტნაკლებად სიცოცხლისუნარიანია, იკვეთება მისი ზრდის/გაფართოების შესაძლებლობა.
				4-6	ბიზნესი სიცოცხლისუნარიანია, მაღალია მისი ზრდის/გაფართოების შესაძლებლობა.
7	დასაქმება	შეფასებული უნდა იქნეს, გულისხმობს თუ არა ბიზნეს გეგმით გათვალისწინებული საქმიანობა დასაქმებას; რამდენი ადამიანი იქნება აქტიურად ჩართული ბიზნეს საქმიანობაში; იქნება თუ არა დასაქმებულთა შორის დევნილი ან/და ეკომიგრანტი ან/და ადგილობრივი მოსახლე	6	0	ბიზნეს გეგმა არ ითვალისწინებს დასაქმებას
				1-3	ბიზნეს გეგმა ითვალისწინებს მინიმუმ ერთი ადამიანის დასაქმებას დაბალ/საშუალო ანაზღაურებად პოზიციაზე, გასათვალისწინებელია დევნილის ან/და ეკომიგრანტის ან/და ადგილობრივი მოსახლის დასაქმებას
				4-6	ბიზნეს გეგმა გულისხმობს ორი ან მეტი ადამიანის დასაქმებას დაბალ/საშუალო ანაზღაურებად პოზიციაზე, გასათვალისწინებელია დევნილის ან/და ეკომიგრანტის ან/და ადგილობრივი მოსახლის დასაქმება
8	გავლენა გარემოზე	შეფასებული უნდა იქნეს, ექნება თუ არა საქმიანობას უარყოფითი გავლენა გარემოზე. თუ ასეა, არის თუ არა უარყოფითი გავლენის შემცირების/შემსუბუქების	6	0	საქმიანობა უარყოფით გავლენას ახდენს გარემოზე და განმცხადებელს არ აქვს შემუშავებული პრევენციული ღონისძიებები
				1-3	გარემოზე უარყოფითი გავლენის რისკი ნაკლებია და განმცხადებელს შემუშავებული აქვს რისკის თავიდან აცილების და/ან შემცირების მექანიზმები

		ღონისძიებები გათვალისწინებული		4-6	გარემოზე უარყოფითი გავლენის რისკი არ არსებობს ან უმნიშვნელოა, ამასთანავე განმცხადებელს შემუშავებული აქვს რისკის თავიდან აცილების და/ან შემცირების მექანიზმები
9	ბიზნეს გეგმის ფინანსური ნაწილი	შეფასებული უნდა იქნეს, ბიზნეს გეგმაში სწორად არის თუ არა მოცემული ფინანსური ანალიზი, რამდენად რეალურია ფინანსური გათვლები	6	0	ფინანსური ანალიზის ნაწილი არასწორადაა შედგენილი, არ იძლევა ანალიზის შესაძლებლობას ან/და ფინანსური გათვლები არარეალურია.
				1-3	ფინანსური ანალიზის ნაწილი მეტნაკლებად სწორად არის შედგენილი, ფინანსური გათვლები მეტნაკლებად რეალურია.
				4-6	ფინანსური ანალიზის ნაწილი სწორად არის შედგენილი, მორგებულია რეალობას და ფინანსური გათვლები ადეკვატურია.
		ჯამი	54		

კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, გამოიცემა სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი: 1. ბიზნეს გეგმის განუხილველად დატოვების შესახებ; 2. ბიზნეს გეგმის გამარჯვებულად გამოვლენის შესახებ და 3. ბიზნეს გეგმის გამარჯვებულად ვერ გამოვლენის თაობაზე.

სააგენტოსა და Action Against Hunger-ს შორის დასაფინანსებელი ეკონომიკური აგენტების გადანაწილება ხდება შემდეგი პრიორიტეტული ჯგუფების გათვალისწინებით:

პრიორიტეტული ჯგუფი	პრიორიტეტი
I	ეკონომიკური აგენტი ფიზიკური პირი არის ეკომიგრანტი; ეკონომიკური აგენტი იურიდიული პირის შემთხვევაში - მისი პარტნიორ(ებ)ი არის ეკომიგრანტი
II	ბიზნეს გეგმა ითვალისწინებს დევნილის და/ან ეკომიგრანტის დასაქმებას
III	ეკონომიკური აგენტის მინიმუმ 1 პარტნიორი არის ქალი
IV	ბიზნეს გეგმა ითვალისწინებს დევნილთა ჩასახლებაში საქმიანობის განხორციელებას.

სააგენტოს მხრიდან პირველ რიგში დაფინანსდება პირველ პრიორიტეტულ ჯგუფში მოხვედრილი გამარჯვებული ბიზნეს გეგმები, შემდეგ - მეორეში და ა.შ. მანამ, სანამ სააგენტოს ფინანსური რესურსი არ ამოიწურება. სააგენტოსა და Action Against Hunger-ის მიერ ეკონომიკური აგენტების გადანაწილების შემდეგ, განხორციელდება შესყიდვების ღონისძიებები და ეკონომიკური აგენტებისთვის, მათი საქმიანობის გასაუმჯობესებლად მოთხოვნილი ნივთების გადაცემა. სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სააგენტო განახორციელებს ნივთების შეძენას იმ მახასიათებლების მიხედვით, რომელიც აქვს განმცხადებლის მიერ მოთხოვნილ ნივთ(ებ)ს.

გამარჯვებულმა ეკონომიკურმა აგენტმა უნდა წარმოადგინოს განახლებული ინვოისი შესაძენად მოთხოვნილ ძირითად საშუალებებზე.

იქიდან გამომდინარე, რომ მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირს, არ შეიძლება ჰყავდეს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, გამარჯვების შემდეგ, მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი ვალდებულია შეიცვალოს სტატუსი.

3.2. ტრენინგი ეკონომიკური აგენტებისთვის

კომისიის მიერ, ეკონომიკური აგენტების გამარჯვებულად გამოვლენის შემდეგ, Action Against Hunger უზრუნველყოფს მათ დატრენინგებას. ტრენინგ კურსის თემატიკა იქნება (არ შემოიფარგლება მხოლოდ ამით) ბიზნესის დაგეგმვა, ბაზრის ანალიზი, მოთხოვნა და პოტენციალი, ფინანსური მართვა, გაყიდვები და მარკეტინგი, კონკურენცია, ბიზნეს კომუნიკაცია და რეგულაციები. ტრენინგის თემატიკა შეირჩევა თითოეული ეკონომიკური აგენტის საჭიროების გათვალისწინებით.

3.3. სამოქმედო გეგმა

საქმიანობა	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	დეკემბერი
პროგრამის თაობაზე, საინფორმაციო კამპანიის განხორციელება, ბიზნეს გეგმის ფორმის გავრცელება ბიზნეს გეგმების მიღება	X				
	X				
ბიზნეს გეგმების შემოწმება და ხარვეზის გამოსწორება/დოკუმენტაციის წარმოდგენა/ინფორმაციის დაზუსტება	X				

ბიზნეს გეგმების საკვალიფიკაციო შესაბამისობის მონიტორინგი	განხილვა და მოთხოვნებთან დადგენა	X	
ბიზნეს გეგმების შეფასება		X	
გამარჯვებულად ეკონომიკური შესყიდვები	გამოვლენილი აგენტების დატრენინგება	X	
ხელშეკრულების ნივთების გადაცემა	გაფორმება და	X	X

3.4. პროგრამის გავრცელების არეალი

პროგრამის სამიზნე არეალია: იმერეთისა და ქვემო ქართლის რეგიონში მდებარე შემდეგი მუნიციპალიტეტები: მარნეული, თეთრიწყარო, ვანი, ზესტაფონი, საჩხერე, ტყიბული, წყალტუბო, ჭიათურა, ხარაგაული და ამ მუნიციპალიტეტებში შემავალი სოფლები.

3.5. პროგრამის ხანგრძლივობა

პროგრამა ვრცელდება 2020-2021 წლებში.

4. პროგრამის ბიუჯეტი

დაფინანსება ხორციელდება სააგენტოსთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებისა და Action Against Hunger-ის მიერ ამ პროგრამისათვის განკუთვნილი ბიუჯეტის ფარგლებში. პროგრამის ბიუჯეტიდან 100 000 ლარი გამოყოფილია სააგენტოს ბიუჯეტიდან, ხოლო 16 100 ევროს ექვივალენტი ლარში - Action Against Hunger-ის მიერ.

5. პროგრამის შეფასება და მონიტორინგი

პროგრამის ფარგლებში, განხორციელდება როგორც პირველადი, ისე შემდგომი მონიტორინგი 2 წლის განმავლობაში. პირველადი მონიტორინგის მიზანია, დადგინდეს განაცხადით მოთხოვნილი ინვესტიციის საჭიროება, განხორციელებადობა და მდგრადობა. სააგენტო და Action Against Hunger პირველად მონიტორინგს განახორციელებს მხოლოდ

შერჩეულ განმცხადებლებთან. შემდგომი მონიტორინგი შესაძლოა განხორციელდეს როგორც ერთობლივად, ასევე ცალ-ცალკე ყველა დაფინანსებულ ბენეფიციარებთან. მისი მიზანია, შემოწმდეს პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ხელშეწყობის მიზნობრივად გამოყენების ფაქტი და შეფასდეს გაუმჯობესებული საარსებო მდგომარეობა.

პროგრამის შეფასება განხორციელდება 2021-2022 წლებში. პროგრამის შეფასების მიზნით შემუშავდება სპეციალური კითხვარები, რომელთა მიხედვითაც, მოხდება პროგრამის ბენეფიციართა გამოკითხვა. აღნიშნული კვლევის შედეგების ანალიზის შედეგად, გამოვლინდება პროგრამის სუსტი და ძლიერი მხარეები და საჭიროების შემთხვევაში შემუშავდება რეკომენდაციები პროგრამის სამომავლოდ უფრო ეფექტურად მუშაობისათვის.